შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.

"ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა"

სამშენებლო ექსპერტიზა. პროექტირება. მშენებლობა.

№ 23-12-14

23 დეკემბერი 2014წ.

სსიპ-ი სერვისების განვითარების სააგენტოს

საკონკურსო კომისიას

## შპს "ოპტიმუსი"-ს საკონკურსო წინადადება

1. შპს "ოპტიმუსი"-ს საკონკურსო წინადადების ფასია – **43 500 (ორმოცდასამი ათას ხუთასი) ლარი დ.ღ.გ-ს ჩათვლით;**

2. დოკუმენტაციის (პროექტის და ხარჯთაღრიცხვის) საბოლოო მოწოდების ვადა – 2თვის განმავლობაში, რომელშიც შედის ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურეობის ვადა.
3. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდეს პროექტის ჩაბარებისა და შესაბამისი **მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.**
4. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადაა საკონკურსო წინადადების წარდგენიდან კონკურსის საბოლოო შედეგის გამოცხადებამდე.
5. წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე განხორციელებულ სამუშაოთა სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1.700.000 (ერთი მილიონ შვიდასი ათას ლარს) ლარის ფარგლებში..

პატივისცემით,

შ.პ.ს. "ოპტიმუსი"-ს

დირექტორი,

გ.ჭანკვეტაძე

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com

შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.

“ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა”

სამშენებლო ექსპერტიზა, პროექტირება, მშენებლობა.

---

№-23/214---- 23 დეკემბერი 2014 წ.

## შპს “ოპტიმუსი”-ს რეკვიზიტები

დასახელება: შ.პ.ს. “ოპტიმუსი”

ს/კ 404420998;

იურ.მისამართი – ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ.№1;

ფაქტ.მისამართი – ქ.თბილისი, ჟ.შარტავას ქ.№14

ბანკის კოდი – **TBCBGE22;**

ა/ა **GE57 TB76 9723 6080 1000 01;**

დირექტორი – გაიოზ ჭანკვეტაძე (პ/ნ 01017024251)

საკონტაქტო ტელ: 595 90 22 25 (მობ.)

**email: g.chankvetadze@gmail.com**

პატივისცემით,

შ.პ.ს. "ოპტიმუსი"-ს

დირექტორი,

გ.ჭანკვეტაძე

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com

შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.
"ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა"
სამშენებლო ექსპერტიზა, პროექტირება, მშენებლობა.

№ 23/4/2 23 დეკემბერი 2014 წ.

პროექტში გამოყენებული მასალები და მათი სპეციფიკაცია

რკინა-ბეტონის კონსტრუქციები:

არმატურა III და I კლასის. უკრაინის რესპუბლიკის წარმოების. ბეტონი B22,5 მარკის ადგილობრივი წარმოების.

ფასადები:

1-ლი სართულის ფასადების ძირითადი შემავსებლებია მაღალი ხარისხის ალუმინის პროფილები (ვიტრაჟები, ფანჯრები, კარებები) ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: შეღებილი შავი, მინა - პაკეტით, 3 კამერიანი, სამუშაო ზომა - 55 მმ, ევროპული წარმოების, თერმოხიდიანი იზოპროფილი, ალუმინის კედლის სისქე - 1,6 მმ, კონსრუქციის დამზადება უნდა წარმოებდეს მაღალი ხარისხის დანადგარებზე ქარხნული წესის სრული დაცვით. (პროფილის ფერი – ანტრაციდე გრეი, კოდი : - 7016)

ქორწინების სახლის სარეკონსტრუქციო შენობის ფასადებზე გაიკვრება ტრავერტინის ბუნებრივი ქვა და რესტავრაცია გაუკეთდება დეკორატიული ელემენტები.

ფასადზე მოწყობილი ბეტონის წვრილი სვეტები შეილესება საფასადე კომპოზიტური სტრუქტურული ლესვით და შეიღებება მაღალი ხარისხის წყალმედეგი თეთრი ფერის საღებავით.

შესასვლელში საჩრდილობელი ეწყობა ხის თერმულად დამუშავებულ კოჭებზე, რომლების ზემოდან ჰორიზონტალურად განთავსდენა 8მმ-იანი შუშა. კოჭები ჩაანკერდება რიგელში და ასევე დაიკიდება ფოლადის ტროსებზე.

**ინტერიერი** ქორწინების სახლის დარბაზში ძირითადი ფერი თეთრი იქნება, კედლები შეილესება და შეიღებება მარალი ხარისხის საღებავით, ერთ-ერთ კედელზე გაიკვრება დეკორი. იატაკზე დაიგება ხელოვნური, მაღალი ხარისხის გრანიტი. ჭერზე სანათები შეთანხმდება დამკვეთთან.

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com

იუსტიციის სახლის ინტერიერში 1-ლ სართულზე სადაც განთავსებული იქნება მომსახურე პერსონალის სამუშაო ოთახები, და მისაღები ვიზიტორებისთვის აქ დიზაინი ოფისის ტიპის იქნება. კერძოდ, მოეწყობა მუყაო-თაბაშირის შეკიდული ჭერი წერტილოვანი ჰალოგენური განათებებით (განათებისტიპი შეთანხმდება დამკვეთთან). კედლები შეიფუთება ზემოთ აღნიშნული შუშის ვიტრაჟებითა და თაბაშირმუყაოს ტიხრებით, რომლებიც შეიღებება თბილ ტონებში. იატაკებად მოისაზრება მაღალი ხარისხის ლამინირებული პარკეტი და ხელოვნური გრანიტი (დერეფნებში და გასასვლელებში) შესასვლელში ხელოვნური გრანიტი ხაოიანი ზედაპირით(0.60X0.60მ). სველ წერტილებში და სასადილოში მეთლახი, ხოლო კედლებზე გაიკვრება კერამიკული ფილები (კაფელი).

შიდა კიბე მოპირკეთდება ასევე ხელოვნური გრანიტით და მასზე დამონტაჟდება მაღალი ხარსხის ალუმინის პროფილის მოაჯირები და კიბის საფეხურის კუთხოვანები.

მე-2-ე სართულის ინტერიერში განთავსდება ძირითადად მომსახურე პერსონალის სამუშაო ოთახები, საკონფერენციო დარბაზი სასადილო და საკონკურსო წინადადებაში მითითებული სხვა ფართები, ასევე სველი წერტილები. დერეფანში დაიგება ხელოვნური გრანიტი, ხოლო სამუშაო ოთახებში მაღალი ხარისხის ლამინირებული პარკეტი. ტიხრები მოეწყობა თაბაშირ-მუყაოსგან. ჭერი – შეკიდული, განათების ელემენტები შეთანხმდება დამკვეთთან.

**მიმდებარე ტერიტორია და შიდა ეზო**

ძირითადი ეზო კეთილმოეწყობა, მოასფალტდება, მოეწყობა ბორდიურები და სადრენაჟე სისტემა პერიმეტრზე – გამწვანების ზოლები, სადაც დამონტაჟდება გარე განათება. შენობაში ასასვლელი გარე კიბეები (2ცალი) მოპირკეთდება ბაზალტის ქვით.

საინჟინრო კომუნიკაციები პროექტი დამუშავდება იუსტიციის სახლების სპეციფიკაციის გათვალისწინებით, საერთასორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

**პატივისცემით,**

**შ.პ.ს. "ოპტიმუსი"-ს**

**დირექტორი**

**გ.ჭანკვეტაძე**

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com

შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.

"ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა"

სამშენებლო ექსპერტიზა. პროექტირება. მშენებლობა

№-23/12/14---  23 დეკემბერი 2014 წ.

სსიპ-ი "სერვისების განვითარების სააგენტოს"
საკონკურსო კომისიას

გაწვდით ინფორმაციას კომპანია „ოპტიმუსი"-ს მიერ შესრულებული ანალოგიური მომსახურების გამოცდილების (პროექტირების) შესახებ.

მოგახსენებთ, რომ ჩვენი კომპანია დაფუძნებულია 2012 წლის აპრილში და ამ დრომდე აქტიურად თანამშრომლობს, როგორც სახელმწიფო სტრუქტურებთან, ასევე კერძო სექტორთან. ჩვენს მიერ შესრულებულია და მერიის შესაბამისი სამსახურს უკვე დამტკიცებული აქვს I, II, III და IV კლასის შენობების პროექტებზე ნებართვები, ნაწილი ობიექტებისა ჩვენი პროექტების მიხედვით უკვე განხორციელებულია და ნაწილი მშენებარე პროცესშია.

სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გამოცხადებულ კონკურსებში, მონაწილეობა მივიღეთ და ჩვენმა კომპანიამ გაიმარჯვა:

| ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების შესახებ | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| № | დამკვეთის დასახელება | შესრულებული პროექტის სრული დასახელება | მომსახურების გაწევის პერიოდი | დაპროექტებული შენობის სრული მოცულობა | სტატუსი |
| 1. | სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო | სამინისტროს კუთვნილი შენობის რეკონსტრუქცია | 2013წ. | 7000 კვ.მ | დასრულებულია |

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2. | სსიპ „სერვისების განვითარების სააგენტო“ | საზოგადოებრივი ცენტრი „სოფლის სახლი“ ქობულეთის მუნიციპალიტეტი სოფ.მუხაესტატე.<br><br>ახმეტის მუნიციპალიტეტი სოფ.ყვარელწყალი<br><br>საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფ.კორბოული<br><br>გორის მუნიციპალიტეტი სოფ.მეჯვრისხევი | 2013წ.<br><br>2013წ.<br><br>2014წ.<br><br>2014წ. | 260კვ.მ<br><br>260კვ.მ<br><br>260კვ.მ<br><br>260კვ.მ | დასრულებულია<br><br>დასრულებულია<br><br>მშენებარე<br><br>მშენებარე |
| 3. | სსიპ „სერვისების განვითარების სააგენტო“ | ქ.ადიგენის რეგიონალური ცენტრის სარებილიტაციო სამუშაოები | 2013წ. | 800 კვმ-მდე | დასრულებულია |
| 4. | სსიპ „სერვისების განვითარების სააგენტო“ | ქ.ადიგენის რეგიონალური ცენტრის სარებილიტაციო სამუშაოები | 2013წ. | 700 კვმ-მდე | დასრულებულია |
| 5. | ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური | თბილისი, სამსახურის კუთვნილი შენობის სართულის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 2014წ. | 3000კვ.მდე | მშენებარე |

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6. | "გლობალ მოტორს ჯორჯია-ჯი ემ ჯი | თბილისი, ,,ლადა"-ს ავტოცენტრის ადმინისტრაციული შენობა | 2012წ. | 700კვმ. | დასრულებულია |
| 7. | შპს ,,პიტ სტოპი" | თბილისი, ,,სან იონგის"-ს ავტოცენტრის ადმინისტრაციული შენობა | 2014წ. | 800კვმ. | დასრულებულია |
| 8. | შპს ,,აისი" | მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი. თბილისი,გმირ მებრძოლთა ქ. (7 სართული) | 2014წ. | 3000კვ.მ | მშენებარე |
| 9. | მოქ.თუთარაშვილი | თბილისი, ოდესის ქ.10 დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი (5 სართული) | 2014წ. | 1500კვ.მ | მშენებარე |

პატივისცემით,

შ.პ.ს. "ოპტიმუსი"-ს

დირექტორი გ.ჭანკვეტაძე

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B14136241, 19/12/2014 15:18:34

## სუბიექტი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: | შპს ოპტიმუსი |
| სამართლებრივი ფორმა: | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| საიდენტიფიკაციო ნომერი: | 404420998 |
| რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: | 24/04/2012 |
| მარეგისტრირებელი ორგანო: | სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო |
| იურიდიული მისამართი: | საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, შ.რუსთაველის გამზ., №1. |

დამატებითი ინფორმაცია:

| | |
|---|---|
| ელ. ფოსტა: | g.chankvetadze@gmail.com |

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

## ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

## ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01017024251, გაიოზი ჭანკვეტაძე

## პარტნიორები

| მესაკუთრე | წილი | წილის მმართველი |
|---|---|---|
| 01017024251, გაიოზი ჭანკვეტაძე | 100.00000000% | |

## ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

**შემოსავლების სამსახური**

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი
404420998

გადამხდელის დასახელება
**შპს ოპტიმუსი**

ხელმძღვანელი
**გაიოზი ჭანკვეტაძე**

გადამხდელის მისამართი
**ძველი თბილისი / რუსთაველის გამზ.** 1

ელ-ფოსტა

ტელეფონი
595902225

# ც ნ ო ბ ა

ეძლევა "შპს ოპტიმუსი"-ს (ს/კ 404420998) მასზედ რომ შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით 19/12/2014 წლის 15:26 საათის მდგომარეობით ერიცხება სალდირებული ზედმეტობა -257.72 ლარი.

| N | **გადასახადის დასახელება** | **ძირითადი** | **სანქცია** | **საურავი** | **ზედმეტობა** |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დღგ | 0 | 0 | 0 | 5.42 |
| 2 | მოგების გადასახადი | 0 | 0 | 0 | .8 |
| 3 | საშემოსავლო გადასახადი | 0 | 0 | 0 | 251.5 |
| 4 | ქონების გადასახადი | 0 | 0 | 0 | 0 |
| | **სულ:** | 0 | 0 | 0 | 257.72 |

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი: 19/12/2014

ID: 2668578

2527292

**ანგარიშის რეკვიზიტები**

სსიპ "შემოსავლების სამსახურის"
მომსახურე ბანკი სს "კორ სტანდარტ ბანკი".
ბანკის კოდი | KSBGGE22
სსიპ "შემოსავლების სამსახურის" ანგარიში GE14 KS00 0000 0000 0777 77

თბილისი 0114, გორგასლის ქ. 16
ელ. ფოსტა: info@rs.ge, ვებ გვერდი: www.rs.ge

შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.

"ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა"

სამშენებლო ექსპერტიზა. პროექტირება. მშენებლობა.

---

№23-12-14 24 დეკემბერი 2014 წ.

## გასაწევი მომსახურეობის სრული ტექნიკური აღწერა

### ქ.ბორჯომის ქორწინების და იუსტიციის სახლის შენობების კონსტრუქციების ტიპის და მასალების მოკლე სპეციფიკაცია:

1. საძირკვლის ტიპი – წერტილოვან-ლენტური (კომბინირებული)
2. მზიდი კარკასი – რკ/ბეტონის მონოლითური
3. სართულშუა გადახურვები – რკ/ბეტონის წიბოვანი გადახურვის მონოლითური წიბოვანი ფილა
4. გადახურვის ტიპი – ბრტყელი (რკ/ბეტონის გადახურვის მონოლითური ფილა შესაბამისი დათბუნებით)
5. კედლების შემავსებლები – მაღალი ხარისხის შუშის ვიტრაჟების მოწყობა, მონაკვეთებში ბეტონის ვერტიკალური ელემენტები განივკვეთით 0,40X0,10მ.
6. შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა – მისასვლელი გზის და ავტოსადგომების ჩათვლით

შენობის არქიტექტურული, საინჟინრო კომუნიკაციების პროექტები, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული იქნება:

არქიტექტურული, კონსტრუქციული ნაწილები დეტალური სპეციფიკაციებით;

ასევე საინჟინრო კომუნიკაციების პროექტები მათ შორის:

1) ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, ტოპო გადაღება;
2) ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება;
3) კონსტრუქციული ნაწილი;
4) შიდა წყალმომარაგება-კანალიზაციის და გაზმომარაგების პროექტი;

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com

5) გათბობაა-გაგრილების და ვენტილაციის პროექტი იუსტიციის სახლების სპეციფიკაციის მოთხოვნების შესაბამისად;
6) ელექტრო მომარაგების პროექტი; მათ შორის ფასადების და ტერიტორიის განათებით;
7) ) სატელეფონო და კომპიუტერული ქსელის პროექტი, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა ეზოსად და შენობაში (სუსტი დენები);
8) სახანძრო სიგნალიზაცია (გაზით ქრობა);
9) სარეზერვო ელ.მომარაგება დიზელ გენერატორი;
10) მეხამრიდი;
11) ტერიტორიისა და მასზე არსებული შენობის აზომვითი ნახაზები. სამი საკადასტრო ერთეულის გაერთიანება და შესაბამისი საკადასტრო ნახაზის მომზადება.
12) გარე და შიდა ეზოების კეთილმოწყობის პროექტი;
13) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი და პროექტით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკი;
14) სანიაღვრე და სადრენაჟე სისტემა;
15) ხარჯთაღრიცხვა და სამუშაოთა ჩამონათვალი მოცულობების მიხედვით;
16) ნებართვების და ტექ.პირობების მოძიება შესაბამისი ორგანოებიდან.

პატივისცემით,

შ.პ.ს. "ოპტიმუსი"-ს

დირექტორი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი: გ.ჭანკვეტაძე

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com

შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.

“ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა”

სამშენებლო ექსპერტიზა, პროექტირება, მშენებლობა.

№-23/12/14---- 23 დეკემბერი 2014წ.

## ქ.ბორჯომის ქორწინების და იუსტიციის სახლის (მიწის ნაკვეთების ს/კ -64.23.03.429; 64.23.03.431) შენობებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთიმოწყობის პროექტის არქიტექტურული კონცეფცია (განმარტებითი ბარათი)

წინამდებარე საპროექტო დოკუმენტაცია მოიცავს ქ.ბორჯომის ქორწინების და იუსტიციის სახლის (მიწის ნაკვეთების ს/კ -64.23.03.429; 64.23.03.431) შენობებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთიმოწყობის პროექტის არქიტექტურულ, სავიზიტო (რენდერები, ფოტომონტაჟი) და ესკიზურ ნახაზებს, როგორც ნაბეჭდი ასევე ელექტრონული სახით.

საკონკურსო დავალების შესაბამისად, აღნიშნული ტერიტორიის შემდგომი არიტექტურული განვითარებისთვის საჭიროება მოითხოვდა შეგვერჩია ისეთი, თანამედროვე ტიპის შენობის დაგეგმარება, რომელიც იქნებოდა ორიგინალურობისა და პრაქტიკულობის შეჯერება და ამასთან, სინთეზურად შეერწყმებოდა იქ არსებულ გარემოს.

ჩვენი კომპანიის არქიტექტორების მიერ საპროექტო ტერიტორიის ნახვისა და ვიზუალური შესწავლის შემდეგ, დამუშავდა იმ ხასიათის და ტიპის შენობა. რაც ჩვენი ხედვით ზუსტად ითვალისწიმნებს ზემოთ აღნიშნულს. კერძოდ, ჩვენს მიერ ძირითადი აქცენტი გაკეთდა არსებული შენობის თაღოვანი ფასადების არქიტექტურულ ფორმების შენარჩუნებაზე (გასული საუკუნის 50-60-იან წლების შენობა) და ახალი, თანამედროვე არქიტექტურული სტილის შერწყმაზე, სარეკონსტრუქციო შენობაზე ხდება დაშენება-მიშენება და ის ორგანულად ერთვება ახალ არქიტექტურულ ანსამბლში. ახლის და ძველის შეჯერებამ მოგვცა საკმაოდ ორიგინალური და საინტერესო იერსახის შენობა, რაც ჩვენი აზრით ძალიან მოუხდება ბორჯომის ამ კუთხეს.

პროექტის მიხედვით, საკონკურსო დავალების შესაბამისად არსებულ შენობაში განთავსდება ქორწინების სახლის საცერემონიო დარბაზი, სადაც შეღწევა მოხდება, როგორც წინა ფასადის მხრიდან – ვიზიტორებისტვის, ასევე იუსტიციის სახლიდან – თანამშრომლებისტვის. იუსტიციის სახლს ექნება დამოუკიდებელი შესასვლელი შენობის მეორე ტორსულ ნაწილში.

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com

შენობების დაგეგმარება მოხდა საკონკურსო დავალების მიხედვით. თუმცა, კონკურსში ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში ფართები და ოთახების განლაგება შესწორდება და დაკორექტირდება დამკვეთთან ერთად.

ქორწინების სახლის ფასადებზე გაეკვრება ტრავერტინის ქვა და რესტავრაცის გაუკეთდება თაღებსა და სხვა არქიტექტურულ ელემენტებს. რაც შეეხება იუსტიციის სახლს, აქ არ დავარღვიეთ იუსტიციის სახლების ზოგადი სტილი და ფასადები ძირითადად შუშის იქნება, რომელსაც დაემატება ბეტონის ჩამოსხმული მონოლითური ელემენტები, რომლებიც შეილესება და შეიღებება თეთრ ფერში. შუშის ვიტრაჟებად მოიაზრება მაღალი ხარისხის შავი ფერის ალუმინის მინა პაკეტის ვიტრაჟებით, ორმაგი იზოთერმული პროფილის ოდნავ თაფლისფერ-ღიაყავისფერ ტონში დამუქებული შუშით, რაც ძველ შენობაზე გაკრული ტრავერტინის ბუნებრივ ქვასთან ერთად შექმნის შესაფერის საერთო იერსახეს.

ახალი შენობის მზიდი კონსტრუქციები კარკასული ტიპის მონოლითური რკ/ბეტოვნისაა, სართულშუა გადახურვა მონოლითური წიბოვანი ფილებითაა გადაწყვეტილი, გადახურვა ბრტყელია, მოქცეულია პარაპეტში და დაცულია ორმაგი ჰიდროიზოლაციით. ძველი შენობიდან დარჩება მხოლოდ ფასადები ხოლო საერთო მდგრადობისთვის შიდა სივრცეში მოეწყობა დამოუკიდებელი რკ/ბეტონის კარკასი სახურავის დასაჭერად. მისი გადახურვა დაემთხვევა მასზე გადმოსული ახალი შენობის იატაკს, მაგრამ კონსტრუქციულად შენობები ერთმანეთისგან გამოყოფილი იქნება ტემპერატურული ნაკერით.

შენობის ფასადები განათდება წერტილოვანი განათების პროჟექტორებით, ხოლო ეზოს ტერიტორიაზე მოეწყობა გარე განათების ბოძები. აქვე იფუნქციონირებს ავტოსადგომი.

ეზოს ტერიტორია მოასფალტდება და გამწვანდება. ძირითადად დაირგვება ბუჩქები (მარადმწვანე ფოთლოვანი ბუჩქი – კვიდო (Libustrum) მოეწყობა ბორდიურები და ავტოსადგომი, როგორც თანამშრომლების ასევე ვიზიტორებისთვის.

ტერიტორიის უკიდურეს უკანა კუთხეში განთავსდება მაცივარ-დანადგარები და საგენერატორო.

ვიმედოვნებთ, წარმოდგენილი შენობის პროექტი ორიგინალურ განვითარებას მისცემს მიმდებარე ტერიტორიას, არქიტექტურულად კარგად ჩაჯდება მის კონტექსში და მისი სახით ბორჯომს, კიდევ ერთი წარმოსადეგი შენობა შეემატება.

პატივისცემით,

შ.პ.ს. "ოპტიმუსი"-ს

დირექტორი,

გ.ჭანკვეტაძე

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com

# CV

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი | გიორგი ქორიძე |
| მისამართი: | ქ. თბილისი, ფანასკერტელ-ციციშვილის ქ.№6, კორპ. XI-სადარბ. IX-სართ. |
| ტელეფონი: | 36-17-16 სახლი 23-57-87 სამსახური |
| | **პერსონალური ინფორმაცია** |
| დაბადების თვე და წელი: | 16 ოქტომბერი 1937 წელი |
| ადგილი: | ქ. თბილისი |
| ეროვნება: | ქართველი |
| ოჯახური მდგომარეობა: | მეუღლე, სამი შვილი, ხუთი შვილიშვილი |
| | **მუშაობის გამოცდილება** |
| 1963-1973 „საქქალაქმშენპროექტი" ჯგუფის ხელმძღვანელი | 1. ქ. რუსთავში მიკრორაიონების საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი ობიექტების შიგა და გარე სანტექნიკური ნაწილების წყალსადენ-კანალიზაცია.<br>2. ქ. თბილისი სასოფლო სამეურნეო გამოფენა დიდუბეში წყალსადენ-კანალიზაციის გარე ქსელები და ზოგიერთი შენობების შიგა წყალსადენ-კანალიზაცია |
| 1973-1981წ. საქორგაზის საპროექტო კანტორაში სანტექნიკური განყ. მთავარი სპეციალისტი | 3. ქ. თბილისი რესპუბლიკის მნიშვნელობის: თვალის კლინიკის შიგა და წყალსადენ-კანლიზაცია<br>4. ქ. ლანჩხუთში რკინიგზის სადგურის შიგა და გარე წყალსადენ-კანალიზაცია |
| 1981-1997წ. ს.კ. სოფლმეურნპროექტი №1 სახელოსნოს უფროსი | 5. ნინოწმინდის (ყოფილი ბოგდანოვკა) წყალმომარაგება სათავე ნაგებობით, მანძილი 12.0 კმ<br>6. ღვინის ქარხნის კომპლექსი შიგა და გარე წყალსადენ-კანალიზაცია. ფეკალური წყლების გამწმენდი ნაგებობით.<br>7. მრავალ ფუნქციურში მრავალ სართულიანი საცხოვრებელი სახლები ქ. თბილისში ჯიქიას ქუჩაზე |
| 1997-2007წ. სს „საქქალაქმშენპროექტი"-ს 2007წ-დან შპს „ინჟსერვისი-07" მთ. სპეციალისტი | 8. იგივე ქ. თბილისში ჩაჩავას ქუჩაზე<br>9. იგივე ქ. თბილისში ყიფშიძის ქუჩაზე<br>10. იგივე ქ. თბილისში ძმები კაკაბაძეების ქუჩაზე<br>11. მრავალბინიანი მრავალფუნქციური და საცხოვრებელი სახლები ქ. ბათუმში და ქ. ქობულეთში<br>12. ქ. სიღნაღში საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობები, შიგა და გარე წყალსადენ-კანალიზაცია<br>13. ბორჯომის ხეობაში დასასვენებელი სახლი ლიკანში |
| 2010წ-დან შპს „არქსტუდია ნიაკი" მთ. სპეციალისტი | 14. ქ. თბილისში მრავალფუნქციური მაღლივი 23 და 26 სართულიანი სახლები ქავთარაძის ქუჩაზე, შიგა და გარე წყალსადენ-კანალიზაცია.<br>15. ქ. თბილისში მრავალკორპუსიანი ტუბერკულოზის სამკურნალო ცენტრი, შიგა და გარე წყალსადენ-კანალიზაცია ფეკალური წყლების გამწმენდი ნაგებობით.<br>16. ქ. თბილისში ვაშლიჯვარში მრავალბინიანი, მრავალ სართულიანი საცხოვრებელი სახლები შიგა და გარე წყალსადენ-კანალიზაცია<br>17. ქ. თბილისში ნინოშვილის ქუჩაზე მრავალბინიანის, მრავალკორპუსიანი საცხოვრებელი სახლების შიგა და გარე წყალსადენ-კანალიზაცია<br>18. ჯანდაცვის სამინისტროს 17 სართულიანი შენობა<br>19. ავერსის კლინიკა თბილისში;<br>20. სკოლის შენობა სოფ. დიღომში და სოფ. ვაზიანში. სკოლა ლუბლიანას ქუჩა №21-ში.<br>21. ინდივიდუალური და ტიპიური სავადმყოფოების კომპლექსები საქართველოს რეგიონებში, აგრეთვე დიდ დიღომში და ქუთაისში.<br>22. მრავალბინიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები ქ. თბილისში;<br>- ბორჯომის, დაბა გუდაურის, დაბა მესტიის, ეწერის, უშგულის, ჰაწვალის, ჰადიში-თეთნულდის დასახლებების წყალმომარაგება-ფეკალური კანალიზაციის და სანიაღვრე კანალიზაციის პროექტი;<br>- მრავალბინიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები ქ. თბილისში; |
| **2009-14წ.** | |
| | **განათლება** |
| 1957-1963წწ. | დავამთავრე საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, წყამომარაგება-კანალიზაციის განხრით |
| ენები | ქართული, რუსული |

ინჟინერი: /გ. ქორიძე/

*სახელი, გვარი* კალანდაძე მადონა

*მისამართი:* თბილისი 380079 კოსტავას ქ. №54 ბინა 21

*ტელეფონი:* 93-66-65

## პერსონალური ინფორმაცია

*დაბადების თვე და წელი:* 1 ნოემბერი 1940 წელი

*ადგილი:* ქ. თბილისი

*ეროვნება:* ქართველი

*ოჯახური მდგომარეობა:* ქმარი, ორი შვილი

## მუშაობის გამოცდილება

*1965-1967* განაწილებით ვმუშაობდი ქარხანა „ელექტროავტომატში“.

*1967 წლიდან დღემდე:* ვმუშაობ „საქქალაქპროექტში“. გავიარე თანამდებობები ინჟინრის თანამდებობიდან მთ. სპეციალისტის ჩათვლით. ვარ უამრავი პროექტის ავტორი ელ. დარგში. დაგისახელებთ რამოდენიმე მათგანს:

1) მთავრობის სახლის რეკონსტრუქციისა და აღდგენის პროექტი. შიდა ქსელები(ელ. განათება, ელ. ძალოვანი) და გარე ქსელები(მაღალი ძაბვა და დაბალი ძაბვა);
2) „აკადემქალაქის“ განაშენიანების გენგეგმა. მაღალი ძაბვა, დაბალი ძაბვა, ტერიტორიის განათება;

აკადემქალაქის ტერიტორიაზე უამრავი ობიექტები:

ა) ხელნაწერთა ინსტიტუტი;
ბ) თერმობაროკამერა;
გ) მუსხელიშვილის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი;
დ) გეოფიზიკის ინსტიტუტი

და ა.შ.

3) ბოლო წლებში 9-14-16-18 სართულიანი საცხოვრებელი „აკადემქალაქის“ ტერიტორიაზე;
4) სასტუმროები, კემპინგები სხვადასხვა ქალაქებში, შიდა და გარე ქსელები;
5) ინფექციური საავადმყოფოს რეკონსტრუქცია;
6) ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფო დიღომში;
7) ტრენინგისა და კონსულტაციების ცენტრი ქ. თბილისში;
8) უამრავი საცხოვრებელი სახლები ქ. თბილისში ბათუმში და ა.შ.;
9) ღვინის ქარხანა „ქინძმარაული.“

## განათლება

*1959-1965 წწ.* დავამთავრე საქართველოს ვ.ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი განხრით: სამრეწველო საწარმოთა და დანადგართა ელექტროფიკაცია.

## საკომპიუტერო პროგრამები

„ვორდი“, ''ავტოკადი''

## ენები

*ქართული* მშობლიური, კარგად

*რუსული* კარგად

*ინგლისური* მხოლოდ ვთარგმნი ლექსიკონის დახმარებით

# CV

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი | ტყეშელაშვილი მაყვალა |
| მისამართი: | ქ. თბილისი, |
| ტელეფონი: | მობ. 599 748112 |
| | **პერსონალური ინფორმაცია** |
| დაბადების თვე და წელი: | 11 იანვარი 1951 წელი |
| ადგილი: | ქ. თბილისი |
| ეროვნება: | ქართველი |
| ოჯახური მდგომარეობა: | დაოჯახებული |
| შვილები: | ვაჟი |
| | **მუშაობის გამოცდილება** |
| 1974წ-დან | „თბილზნიიეპი“-ს ელექტრო განყოფილებაში ინჟინრად, შემდგომში სუსტი დენების ჯგ. ხელმძღვანელად. |
| შპს „ინჟსერვისი-07“ ინჟინერი | – ორი 25 სართულიანი მრავალფუნქციური სახლი ქავთარაძის ქ.№19-ში;<br>– მრავალფუნქციური 17 სართულიანი შენობა ვაშლიჯვარში;<br>– საცხოვრებელი კომპლექსი დაბა ბაკურიანში; |
| | **მნიშვნელოვანი საპროექტო სამუშაოები** |
| 2000-2008წ.წ | - ქ. თბილისში ადმინისტრაციული შენობა გლდანში;<br>- მრავალსართულიანი საცხ. კომპლექსი კრწანისის ქუჩაზე;<br>- საცხოვრებელი სახლები კოსტავას ქუჩაზე;<br>- მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები: ქობულეთში, ბათუმში, ლიკანში, თბილისში ჯიქიას ქუჩაზე;<br>- ტუბერკულოზის სამკურნალო ეროვნული ცენტრი;<br>- თოდუას კლინიკა თბილისში;<br>- ჟვანიას და ალადაშვილის სახელობის საავადმყოფოთა კომპლექსი დიღომში; |
| | **განათლება** |
| 1969-1974წწ. | დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, კავშირგაბმულობის ფაკულტეტი |
| ენები | ქართული, (მშობლიური) რუსული (თავისუფლად) |
| კომპიუტერული პროგრამები | AutoCad, Internet |

ინჟინერი: /მ. ტყეშელაშვილი/

# CV

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი | ვაჟა ძაბანია |
| მისამართი: | ქ. თბილისი, კრწანისის ქ.№55. |
| ტელეფონი: | 2 220752 მობ. 599 781356 |

## პერსონალური ინფორმაცია

| | |
|---|---|
| დაბადების თვე და წელი: | 27 ნოემბერი 1936 წელი |
| ადგილი: | ქ. თბილისი |
| ეროვნება: | ქართველი |
| ოჯახური მდგომარეობა: | დაქორწინებული |
| შვილები: | ვაჟი |

## მუშაობის გამოცდილება

| | |
|---|---|
| 1960-1976წ.წ. | „საქქალაქმშენსახპროექტი"- სპეცსამუშაოთა განყოფილების ჯგუფის ხელმძღვანელი |
| 1976-1990წ.წ | „ინტურისტმშენპროექტი" - სპეცსამუშაოთა განყოფილების უფროსი |
| 1990-2002წ.წ. | „პროექტი 90"-ის დირექტორი |
| 2002-2006წ.წ. | სს „საქქალაქმშენპროექტი" - სპეცსამუშაოთა დამგეგმარებელი |
| 2007 წლიდან | შპს „ინჟსერვისი-07"-ში საინჟინრო ნაწილის ხელმძღვანელი |

## მნიშვნელოვანი საპროექტო სამუშაოები

2010წ-დან შპს „არქსტუდია ნიავი" დირექტორი

- მრავალფუნქციური კომპლექსი ბაკურიანში – პრ.მთ. ინჟინერი;
- 320 ბინიანი მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი, ქ. თბილისი ყიფშიძის ქუჩაზე – პრ.მთ. ინჟინერი
- ქავთარაძის ქუჩაზე მრავალფუნქციური საცხ. კომპლექსი ორი 25 სართულიანი შენობა – გათბობა, საქვაბე;
- კრწანისის ქუჩაზე მრავაფუნქციური საცხ. კომპლექსი - პრ. მთავარი ინჟინერი;
- დიღომში „ელიტ-უბანი"-ს პროექტის მთ. ინჟინერი;
- სააკაძის ქუჩაზე მრავაფუნქციური საცხ. კომპლექსი - პრ. მთავარი ინჟინერი;
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და მორფოლოგიის ინსტიტუტი თბილისში – გათბობა, ვენტილაცია-კონდიცირება, სამედიცინო აირები;
- ქირურგიის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის რეკონსტრუქცია - პრ. მთავარი ინჟინერი;
- ნევროლოგიის და ოფთალმოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ეროვნული ცენტრი - პრ. მთავარი ინჟინერი;
- ტუბერკულოზის ეროვნული სამკურნალო ცენტრი – პრ. მთ. ინჟინერი;
- შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი"-ს ძირითადი ობიექტები – პრ. მთ. ინჟინერი;
- ჯანდაცვის სამინისტროს 17 სართულიანი შენობა - გათბობა, ვენტილაცია-კონდიცირება;
- ჟვანიას და ალადაშვილის სახელობის საავადმყოფოთა კომპლექსი ქ. თბილისში, დიღომი – გათბობა, ვენტილაცია-კონდიცირება, სამედიცინო აირები;
- სკოლის შენობა სოფ. დიღომში და სოფ. ვაზიანში. სკოლა ლუბლიანას ქუჩა №21-ში - გათბობა, ვენტილაცია;
- ავერსის კლინიკა თბილისში;
- საავადმყოფოების კომპლექსები საქართველოს რეგიონებში - გათბობა, საქვაბე;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ქ. თბილისში;
- სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს შენობა სანდრო ეულის ქუჩაზე – გათბობა, ვენტილაცია-კონდიცირება;
- ელიტარული სასტუმრო ქ. თბილისში, გორგასალის ქუჩაზე – პრ. მთ. ინჟინერი;

## განათლება

| | |
|---|---|
| 1959-1965წწ. | დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სპეციალობა – ვენტილაცია-კონდიცირების განხრით; |
| ენები | ქართული, (მშობლიური) რუსული (თავისუფლად) |
| კომპიუტერული პროგრამები | Word, Excel, AutoCad, Internet |

ინჟინერი: /ვ. ძაბანია/

**CV**

გურამ რუსტამოვი

დაბადების თარიღი: 30.12.1947

მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. # 20

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

ტელეფონი: 5 55 15 40 35

ელ-ფოსტა: tinatini-tiko@mail.ru

განათლება:

საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი - გეოლოგიის ფაკულტეტი, ჰიდროგეოლოგიის სპეციალობით 1968-1973წ.

ჰიდრო გეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი გეოდინამიკაში 1974-1975.

სამუშაო გამოცდილება:

2013-2014 წ. სწქტემბერი – 2015 წ. მსოფლიო ახალგაზრდული ოლიმპიადისათვის სპორტკომპლექსის პროექტირებისათვის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები ფეხბურთის სტადიონისათვის, ფრენბურთის დარბაზისათვის, ტანვარჯიშის დარბაზისათვის, სავაჭრო-გასართობი ცენტრი კახეთის გზატკეცილზე (ფართით თვითოეული ცალ-ცალკე 1 ჰა-ზე მეტი).

2014 წ. სექტემბერი მცირე მეწარმე

მოვალეობები: ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო გეოლოგიური პროექტების მომზადება .

1982-1992წ. უფროსი ინჟინერი

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სპეც. საპროექტოსაკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიურო

მოვალეობები: მშენებარე ფაბრიკების პროექტირება, გაფართოებითი და ავარიულ მდგომარეობაში მყოფი შენობების მდგომარეობის შესწავლა.

1979წ.-1982წ. გეოფიზიკოსი/ინჟინერ გეოლოგი

საქართველოს სახელმწიფო საავტომობილო გზების საპროექტო-საძიებო ინსტიტუტი

მოვალეობები: გზების, ხიდებისა და გვირაბების პროექტებზე მუშაობა, გზეიტბზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მეწყრული ზონების გამოვლენა და მისი შესწავლა, ანაგრიშსა და პროექტის შედგენა გასამაგრებელი სამუშაოების ჩასატარებლად.

1976-1979წ. უფროსი ინჟინერი

საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

მოვალეობები: მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის წარმოება საქართველოში მშენებარე მიწის კაშხლების ( თიხის გულარით).

1975-1976 ინჟინერ გეოლოგი

საპროექტო ინსტიტუტი „საქქალაქმშენსახპროექტი"

მოვალეობები: სასტუმროებისა და საცხოვრებელი შენობების პროექტების მომზადება.

1973-1975წ. ჰიდროგეოლოგი

ყიზილყუმისა და ყარაყუმის უდაბნოებში ჰიდროგეოლოგიური ექსპედიცია.

მოვალეობები: მიწისქვეშა წყლების გამოკვლევა სასმელი და საირიგაციო თვალსაზრისით

1972 წ. ინჟინერ-გეოლოგი

პამირის მაღალმთიანეთში „ოშ-ხოროგის" საავტომობილო გზატკეცილის „მურგაბი-ხოროგის" მონაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა.

ტრეინინგები:

ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი - თბილისის მერიის უცხო ენების სასწავლო ცენტრი
სექტ-დეკ 2014; სერთიფიკატი

MS ოფისი - თბილისის მერიის სასწავლო ცენტრი
სექტ - დღემდე

ენები: ქართული , აზერბაიჯანული, თურქული, რუსული - თავისუფლად; გერმანული და ინგლისური - საწყისი

# CV

გვარი, სახელი, მამის სახელი: - ქვრივიშვილი თამაზი ალექსანდრეს ძე

მისამართი: - ქ.თბილისი, ქვიშხეთის 1კ. 21 ბინა

ტელეფონი: - ტელ: 2 61 59 49
მობ: 5 99 50 59 49

განათლება: - 1971 წელს ჩავაბარე და 1976 წელს დავამთავრე ვ.ი.ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

- მშნებელ-ინჟინერის სამუშაო საქმიანობა და გამოცდილება 1976 წლიდან დღემდე.

- თბილისის ზონალური სამეცნიერო კვლევითი საპროექტო ინსტიტუტი (თბილზნიეპი) 1976-1985წწ.

- საპროექტო ინსტიტუტი "საქკურორტპროექტი" ჯგუფის ხელმძღვანელად 1985-2002წწ.

- 2002 წლიდან დღემდე ტერიტორიათა განვითარების სააგენტო " თბილქალაქპროექტში" მე-11 და მე-7 შემოქმედებითი სახელოსნოს მთ. კონსტრუქტორი.

- შ.პ.ს. "ნარბი +" დირექტორი, ინჟინერ კონ-სტრუქტორი.
- 2014 წლიდან დღემდე განათლების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვი-თარების სააგენტოში კონსტრუქტორად, თემატური პროექტების დასამუშავებლად.

ენების ცოდნა: - ქართული– მშობლიური
- რუსული-კარგად

სხვა მონაცემები:

კომპიუტერული პროგრამები:
OS: Auto cad; ArchiCAD; Windows XP; Microsoft Office; Internet Explorer;

ინჟინერ-კონსტრუქტორის თ. ქვრივიშვილის მიერ ბოლო 14 წელიწადში (2001-2014 წლებში) შესრულებული ობიექტების სია

1. 16 სართულიანი მრავალფუნქციური სახლი ყაზბეგის (ყოფილი პავლოვის) ქუჩაზე, დამკვეთი "ტექს-ჯგუფი".
2. 12 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი გოთუას ქ.№26. დამკვეთი შ.პ.ს "მოდული".
3. მრავალბინიანი 9 სართულიანი, საცხოვრებელი სახლი ბაგებში წყნეთის გზატკეცილზე, დამკვეთი შ.პ.ს "მოდული".
4. საოფისე 4 სართულიანი შენობა ბაგებში წყნეთის გზატკეცილზე, დამკვეთი შ.პ.ს "მოდული".
5. მრავლბინიანი საცხოვრებელი სახლი ქუთაისის ქ.№14-ში. დამკვეთი მოქ: მ.გაგნიძე.
6. 3 სართულიანი ინდ. საცხოვრებელი სახლი მცხეთის რ-ნი სოფ. წეროვანში.
7. 6 სართულიანი საცხოვრებელი სახლი უშ. ჩხეიძის ქ.№6. დამკვეთი, მოქ: ანზორ კრიხელი.
8. 2-3 სართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები.
9. წისქვილი, ქ. თბილისის ლილოს დასახლებაში, იუმაშევის ქ.№15-ში.
10. ს.ს. "ელმავალმშენებლის" სამჭედლო საამქროს რეკონსტრუქცია-გამაგრების პროექტი.
11. საექსპერტო და ტექნიკური დასკვნები ძვ თბილისის რაიონის გამგეობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაკვეთით.
12. წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია დაბა ბორჯომში.
13. სამების სახელობის ეკლესია ქ. თბილისში, ვაკეში.
14. სარეაბილიტაციო-რეკონსტრუქციული სამუშაოები ქ.თელავში, ქ. ქუთაისში და ქ. წყალტუბოში.
15. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ქ. თბილისი, დეპოს ქ.№23.
16. ქ. თბილისი, გოთუას ქ. №28, ამხანაგობა "ვასილ ქუმსიაშვილი--გოთუა 28"-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ოფისით.
17. ქ. თბილისში, იაშვილის ქ. №18-ში მდებარე შენობაზე, მოქ. ნიკოლოზ ქიტიაშვილის კუთვნილი ბინის რეკონსტრუქცია (დაპროექტება,მშენებლობა).
18. წისქვილის დაპროექტება და მშენებლობა, ხოლო შემდეგში რეკონსტრუქცია ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში.
19. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის და დახურული საცურაო აუზის დაპროექტება (კონსტრუქციული ნაწილი) და მშენებლობა ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩაზე.
20. მეცხოველეობის სასწავლო ფერმა ქ. სენაკში განათლების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოს დაკვეთით.

ასევე სხვადასხვა პატარა ობიექტებზე საპროექტო, საექსპერტო და კონსტრუქციული დასკვნები.

# რეზიუმე

ხუციშვილი გიორგი (პ/ნ 01001041313)

მისამართი:__ ქ. თბილისი; მუხ.II მკრ.რ. XIX კორპ. ბინა №26

დაბადების თარიღი: 04.12.1987

ოჯახური მდგომარეობა: დასაოჯახებელი

ტელეფონი: 595 51-74-52; 514 61-22-44

ელ.ფოსტა:
georgeart87@gmail.com

**სწავლა- განათლება:**
2005-2011 წ. თბილისის, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (არქიტექტურის ფაკულტეტი)

**ენების ცოდნა:**
ქართული (მშობლიური) თურქული (სასშუალოდ)

**საოფისე კომპიუტერული პროგრამები**
MS Word, MS Excel, , MS Power Point, Internet, ArchiCAD, Adobe Photoshop, Auto-cad, 3ds max, Adobe Premier .

**სამუშაო გამოცდილება:**
2006-2008 წ. შ.პ.ს „ არტ სტუდიო"- სტაჟიორი არქიტექტორი (ვმუშაობდი სწავლას მოუწყვეტლივ)
2008-2011 წ. შ.პ.ს „3D Dot group"- სტაჟიორი არქიტექტორი (ვმუშაობდი სწავლას მოუწყვეტლივ)
20011-2012 წ. შ.პ.ს „დიზაინ-D"- მთ. არქიტექტორი
2012-2014 წ. შ.პ.ს. „ოპტიმუსი"- მთ.არქიტექტორი

სამუშაო გამოცდილება განსაზღვრულია ქ. თბილისში საპროექტო სამუშაოების ჩატარებითა და სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობის მიღებით. დაპროექტებული და შეთანხმებული პროექტები მოიცავს I,II, III, IV კლასის შენობა ნაგებობებს, რაც შეადგენს მრავალფუნქციურ კომპლექსებს, ინდივიდუალურ, დაბალი და მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ობიექტებს, მიშენება დაშენებასა და უნებართვო შენობა ნაგებობების ლეგალიზებებს. სახელმწიფო ტენდერები მოიცავს: ქ. ზუგდიდში სახანძრო-სამაშველო შენობის, სოფ. ანაკლიაში "ჩერქეზ ხალხთა მემორიალის" და ქ. ზუგდიდში გარე განათებისა და გზების საპროექტო სამუშაოებს, ასევე მონაწილეობა მაქვს მიღებული იუსტიციის სამინისტროს შენობის რეკონსტრუქციისა და „სოფლის სახლების" საპროექტო სამუშაოებში.

# CURRICULUM VITAE

*სახელი:* გაიოზ გიორგის ძე ჭანკვეტაძე

*დაბადების ადგილი/თარიღი:* ქ. თბილისი, 1968 წლის 7 დეკემბერი.

*მისამართი:* ქ.თბილისი, პეკინის გამზ. №18. ბ-10.

**ოჯახური მდგომარეობა:** დაოჯახებული, მეუღლე და ორი შვილი;

*ტელ:* (995 32) 371968 (სახლი);
(995 95) 90 22 25 (მობ);

***E-mail*** g.chankvetadze@gmail.com

**განათლება**

**1974-1985** ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლა.
**1986-1994** საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი. ფაკულტეტი – სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა. მშენებელი-ინჟინერი.

**1999-2003** უნივერსიტეტი "ლეგია და კომპანია". იურიდიული ფაკულტეტი.

**სამუშაო გამოცდილება:**

**1985-1987** №5-ე სახლმშენებელ კომბინატში. მე-4 თანრიგის მუშა-მებეტონე.

**1987-1989** ყოფილი საბჭოთა კავშირის არმია. საინჟინრო ჯარები.

**1989-1991** ტრესტი "ინჟმშენი" მე-4 თანრიგის მუშა-მებეტონე.

**1991-1994** მრავალდარგოვანი საწარმო "პემ"-ი. სამშენებლო უბნის უფროსი.

**1995-1999**. შპს "დარბაზნი". კონსტრუქტორთა ჯგუფის უფროსი.

**1999-2002**. ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის მთავარი სპეციალისტი.

**2003-2005** ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის მთაწმინდა-კრწანისის სამმართველოს უფროსი.

**2005-2008**. კერძო ბიზნესი.

**2006-2008**. ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, მთავარი სპეციალისტი.

**2009წ.** იანვრიდან **2009წ.** მარტამდე - ქ.თბილისის მერიის სამოქალაქო ინტეგრაციის (''თბილისის კორპუსი'') საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

**2009** 5 მარტიდან - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს უფროსი,

**2009წ.** 23 მარტიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი 2009წლის 15 სექტემბრამდე.

**2010** წლის 1 მარტიდან 10 მარტამდე - ქ.თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს სსიპ-ი ''თბილისის უძრავი ქონების'' დირექტორი.

**2010წ.-2011** მშენებლობის დიაგნოსტიკის ცენტრი შ.პ.ს. ''კრუგი''-ს მენეჯერი-ექსპერტი.

**2012წ.** აპრილიდან დღემდე საპროექტო-სამშენებლო კომპანიის – შ.პ.ს. ''ოპტიმუსი''-ს დამფუძნებელი და დირექტორი.

## კომპიუტერული პროგრამები:

Microsoft Programs (Word, Excel, PowerPoint etc.); internet, Adobe Photoshop CS.

## ენები:

ქართული- მშობლიური,
რუსული-კარგად
ინგლისური – დამაკმაყოფილებლად.